

კუდიანების თემის ერთი ეპიზოდისათვის ანგლო-ამერიკულ
ლიტერატურაში (რობერტ ბერნსი, ვაშინგტონ ირვინგი, ნათანიელ
ჰოთორნი)

სალომე გოლობიანი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
მიმართულება: ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე გოლობიანი

ს. გოლობიანი

თარიღი: 27.06.2016

აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს ახლო კითხვისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდით გამოვიკვლიო ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ტექსტების მსგავსება და განსხვავება. ნაშრომის საანალიზო მასალას წარმოადგენს რობერტ ბერნსის „ტემ ო' შენტერი“, ვაშინგტონ ირვინგის „მთვლემარე ხეობის ლეგენდა“ და ნათანიელ ჰოთორნის „ახალგაზრდა ბრაუნი“.

კვლევაში ნაჩვენებია თუ რა იყო სეილემის კუდიანების დასჯის პროცესის გამომწვევი მიზეზები და რა გავლენა მოახდინა ამ პროცესმა ამერიკელ თუ ინგლისელ მწერლებზე. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდის დახმარებით ნაშრომში ერთმანეთთან არის შედარებული ინგლისელი და ამერიკელი მწერლების დამოკიდებულება კუდიანების თემისადმი. ნაშრომში განხილულია თუ რა დატვირთვა აქვს კუდიანების ღამეს აღნიშნულ სამივე ნაწარმოებში.

ჩატარებული კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ სამივე ავტორი ეთსა და იმავე თემას ეხება, თუმცა ყოველი მათგანი განსხვავებულად განიხილავს. რობერტ ბერნსისა და ვაშინგტონ ირვინგის შემთხვევაში კუდიანების თემა განხილულია სატირულ-იუმორისტული კუთხით. ნათანიელ ჰოთორნი კი რეალისტურად და დრამატულად უდგება ამ პრობლემას, რაც ცხოვრებისეული გამოცდილებით აიხსნება.

ნაშრომი მოიცავს სარჩევს, ქართულ და ინგლისურენოვან აბსტრაქტს, შესავალ ნაწილს, ხუთი თავს, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: პურიტანები, სეილემის პროცესი, კუდიანები, ცოდვა.

Abstract

The aim of the paper is to explore the similarities and differences in English and American literature texts with the help of close reading and Comparative Literature analyses methods. The present research is based on following works: “Tam o’ Shanter” by Robert Burns, “The Legend of Sleepy Hollow” by Washington Irving and “Young Goodman Brown” by Nathaniel Hawthorne.

The research shows what the causes of The Salem witch trials was and what affect this process had on American and English writers’ works. With the use of Comparative literature method there is compared English and American writers’ dependence on witchcraft. Beside this the paper deals with the significance of the witch’s night in three works of these three writers.

According to the present research it became clear that all of these three authors referring to the same theme, although they consider it differently. In case of Washington Irving and Robert Burns the theme of witchcraft is discussed in the terms of satire and humor. Unlike them, Nathaniel Hawthorne uses realistic and dramatic approach to this problem, which can be explained by life experience.

The paper consists of an introduction, Georgian and English abstract, five chapters, the conclusion and references.

Key words: Puritans, Salem process, witchcraft, sin.